ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N06

2018 წლის 29 იანვარი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №468 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება და მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 იანვრის N01/524 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №468 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება და მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის პროგრამაში" თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ.წულუკიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის №03 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის

მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება:

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

„1 იანვარი“ 2018წ.

„31 დეკემბერი“ 2018წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

83 850 (ოთხმოცდასამი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.

4. პროგრამის დაფინსების წყაროები:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 83 850 ლარი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღრიცხვაზეა 1700-მდე პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მომართავს 587 პაციენტი ანუ პაციენტთა საერთო რაოდენობის 32-35%, ხოლო თვის განმავლობაში 180-200 პაციენტი, ანუ საერთო რაოდენობის მხოლოდ 10-11%, რაც ძალიან მცირეა. მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, ვერ ხორციელდება მედიკამენტების უწყვეტად მიწოდება, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. ირღვევა საფეხურებრივი და უწყვეტი სამედიცინო მომსახურების პრინციპი, რის გამოც შეფერხებულია ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის შენარჩუნების შესაძლებლობა, რაც ხშირად ხდება პაციენტის მხრიდან ძალადობრივი ქცევის მიზეზად, როგორც საკუთარი თავის, ასევე ირგვლივ მყოფთა მიმართ.

აღნიშნულმა სიტუაციამ ჯანმრთელობის სფეროში შექმნა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიების გატარების აუცილებლობა. უწყვეტი სამედიცინო მომსახურების განხორციელების შესაძლებლობას ქმნის ბინაზე ვიზიტის განხორციელება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მობილური გუნდის მომსახურების მეშვეობით. მობილური გუნდის მომსახურების დამატება ამბულატორიულ სერვისში უზრუნველყოფს ფსიქიატრიული დახმარების ხარისხსა და ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას.

წარმოდგენილი მიზნობრივი პროგრამა განაპირობებს მძიმე ფსიკური აშლილობის მქონე პირთა ჩართულობას ფსიქიატრიულ სერვისებში, ასევე ხელს შეუწყობს პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. პროგრამა საწყის ეტაპზე ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 50 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ფსიკური აშლილობის მქონე პირთა უწყვეტი სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა.	1-სათემო გუნდების მიერ ამბულატორიულ განყოფილებაში აღრიცხვაზე მყოფი მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტიებისთვის შინ მომსახურების უზრუნველყოფა და მკურნალობაში ჩართული პაციენტების დაახლოებით 5-7%-ით ზრდა 2-.სტაციონირებისა და რეჰოსპიტალიზაციის რიცხვის შემცირება
2	რეციდივისა და ძალადობრივი ქცევების რისკების შემცირება.	ოჯახისა და პაციენტის ფსიქოგანათლებითა და მათთან თერაპიული ურთიერთობის დამყარებით გაიზრდება პაციენტის ინსაიტი, რაც პაციენტის მობილური გუნდიდან ამბულატორიულ სერვისში გადასვლას უზრუნველყოფს.
3	ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის პერიოდის შენარჩუნება.	1-.სერვისში ჩართული პირების გამოსავალის (outcome) მაჩვენებელი, რაც მოიცავს ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების სიმწვავის, სოციალური ფუნქციონირების ხარისხისა და პაციენტისა და მისი ოჯახის კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრას. 2-.სტაციონირებისა და რეჰოსპიტალიზაციის რიცხვის შემცირება

8. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და შერჩევის წესი:

- პროგრამით ფარგლებში მობილური გუნდის მომსახურებით ისარგებლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე მოზრდილები და ბავშვები. ბენეფიციართა შერჩევა წარმოადგენს მობილური გუნდის პრეროგატივას.

- ყოველთვიურად ბინაზე ამბულატორიული მომსახურება გაეწევა 50 პაციენტს.

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ვიზიტი ბინაზე	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	მედიკამენტოზური მკურნალობა												
3	გაუთვალისწინებელი შემთხვევის მართვა (კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში პაციენტის სტაციონირების ორგანიზება, პირველადი შემთხვევის გამოვლენა და სხვა)												
4	სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

N	წყაროს დასახელება		2018წელი	2019წელი	2020წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	83 850			83 850

	დამატებითი					
	სულ		83 850			83 850

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

N	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	ბენეფიციართა რაოდენობა	ერთი ბენეფიციარის მომსახურების ღირებულება თვეში (ლარი)	12 თვის ხარჯი (ლარი)
1	მობილური გუნდის მიერ მძიმე ფსიკური აშლილობის მქონე პირთა ბინაზე მომსახურება	ბენეფიციარი	50	129	77400
2	პროგრამა დააფინანსებს 2017წლის დაუფინანსებელ ვალდებულებას თანხით 6450 ლარი				

11. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	პროგრამის მომსახურების შესყიდვა	2017წ დეკემბერი, 2018წლის I კვ		77400	

12. საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შესყიდვები:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია:

დაფინანსება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფინანსების დამტკიცებული მოცულობისა. მერიის მხრიდან მონიტორინგს განახორციელებს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. მონიტორინგის ძირითადი მიმართულებებია: ბრიგადის გასვლათა რაოდენობა და წარმოებული დოკუმენტაცია.

მატერიალური რესურსის გაცემა მოხდება მუნიციპალიტეტის მერიასა და მომწოდებელს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

შენიშვნა: პროგრამაში გათვალისწინებულია 2017წლის დაუფინანსებელი ვალდებულების დაფინანსება თანხით 6450 ლარი.